ხელშეკრულება № 241117/02

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (მომსახურების შესყიდვა)

2018 წლის სახსრები

(დაფინანსების წყარო: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი) .

ქ. თბილისი 24 ნოემბერი 2017 წელი

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ცენტრი (ს/კ: 418469678) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ნადიბაიძის სახით (შემდგომში – "შესყიდველი") და მეორეს მხრივ ბრიტანეთის საბჭო, გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს თბილისში, მისი ფილიალის მეშვეობით (ს/კ: 404419624) წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა ფურცელაძის სახით (შემდგომში – "შემსრულებელი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულების შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალის „ბრიტანეთის საბჭო საქართველოში" და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ცენტრი "-ს ერთობლივი პროექტით „ინგლისური ენის ცენტრი და ინგლისური ენის კლუბები" (შემდგომში „პროექტი") გათვალისწინებული მომსახურების განხორციელება. „პროექტი"თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას (დანართი №1) და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია:

უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალის „ბრიტანეთის საბჭო საქართველოში" მიერ 13 პრაქტიკული სემინარის ჩატარება (სულ 91 საათი მომზადების ჩათვლით) ინგლისური ენის პედაგოგებისთვის ინგლისური ენის სწავლების უნარების გასაუმჯობესებლად. (CPV კოდი : 80580000) – ენების შემსწავლელი კურსების უზრუნველყოფა.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 4799 (ოთხი ათას შვიდას ოთხმოცდა ცხრამეტი) ლარს. 6 ვიზიტის ღირებულებაა 1386 ლარი. 13 სემინარის ღირებულებაა 3413 ლარი. ერთი სატრენინგო საათის ღირებულებაა 37.50 ლარი.

4. შესყიდვის ობიექტისხარისხი და გარანტია

4.1 "მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს "შემსყიდველის" მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა 2017 წლის 26 ნოემბერი - 2018 წლის 18 მარტი.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა "შემსყიდველისათვის" (მიღება ჩაბარების აქტი ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურა)

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება "შემსყიდველისა" და "მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7.ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით თანხის "მომწოდებლის" საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით.

7.3 ანგარიშწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არა უმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს: -- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობები.

8.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:- მოახდინოს ანგარიშწორება "მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვლისწინებული პირობების შესაბამისად.

- უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიღება

8.3 "მიმწოდებელს" უფლება აქვს: - მოსთხოვოს "შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 "მიმწოდებელი" ვალდებულია: მიაწოდოს "შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტი..

8.5 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შსაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუსლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრებამისი ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 18 მაისამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 "შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარარელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და "შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას "შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს "შემსყიდველი" ორგანიზაციის დირექტორი.

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ "შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს "მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელსაყრელ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიაანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15.6 "შემსყიდველი", რომელიც უზრუნველყოფს ღონისძიების ჩატარების ადგილს, აუცილებელია, რომ ინფორმირებული იყოს ბრიტანეთის საბჭოს ბავშვთა დაცვის პოლიტიკის შესახებ და ხელი მოაწეროს ბრიტანეთის საბჭოს ბავშვთა დაცვის პოლიტიკის დებულებას (იხ. **დანართი 2**)

15.7 მხარეები პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებენ თანაბარ შესაძლებლობებს და ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად თანამშრომლობის ნებისმიერ დროს იმოქმედებენ ბრიტანეთის საბჭოს „თანაბარი შესაძლებლობების პოლიტიკის" პრინციპების შესაბამისად.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	*შემსრულებელი*
ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ცენტრი	უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი „ბრიტანეთის საბჭო საქართველოში"
ს/ნ: 418469678	ს/კ 404419624
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: სს "საქართველოსბანკი"
ბ/კ:TRESGE22	ბ/კ: BAGAGE22
	ა/ა:GE42BG00 0000 0300 3138 00
მის.: ქ. გორი, მშვიდობის გამზ. №12ა	მის.: თბილისი რუსთაველის [illegible] #34
/გ. ნადიბაიძე /	/ზ.ფურცელაძე /